

„აღიზრნეს დემოკრატნი და ერმან იზრასა ცუდი ძღველთა მიმართ და წარუხ-
 ვნეს მათ მამული მონასტერთანი—და შეკრბენ მოძღვარნი ერთად, განსუქად
 აწაურთა და განკლებათ უღელთა დემოკრატისათა,

№
36

1920 წ.

აგვისტოს 1



ხოლო რომელი დაბკვიდრებულ არს შეცხად ეცინოდა მათ და უფალმან შეარ-
 ცხუნა ივინი“ (ფსალმუნი დაუითისა).

თავის მადიებელნი.

მოკრძალებით უძღვნის ავტორი ამ პატარა წერილს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს.

სხვათა წაბაძულობით, სოფელმა ყვავის ბუდე გაქალაქება გადასწყვიტა.

ათი სახლი, სამი ვიწრო ორღობე, ერთი პატარა ღელე და სამოცი სული მცხოვრები, თითქმის ყველაფერი ეს, ახლანდელი ქალაქისათვის აუკილებელი ატრიბუტი მზათ იყო, არ ჰყავდათ მხოლოდ ქალაქის თავი!

შეიკრიბენ ყვავის-ბუდის მოქალაქენი ერთ მშვენიერ დილას და აირჩიეს დეპუტაცია ერთი კაცისაგან ქალაქის თავის საძებრათ.

— წადი, მოვლე საქართელო კიღით კიდემდე, და გინდა არ გინდა ქალაქის თავი მოგვიყვანე!

უთხრეს ყვავის ბუდელებმა დეპუტაციას, უშოვნეს მას გზის ფული და გაისტუმრეს.

ყვავის ბუდელი დეპუტაცია გზას გაუდგა. ბევრი იარა, თუ ცოცხა იარა შეხვდა მეორე მგზავრს.

— გამარჯობა ძმობილო შენი!

უთხრა ყვავის ბუდელმა ახლად შეხვედრილს.

— ღმერთმა გაგიმარჯოს ამხანაგო! მიუგო უცნობმა.

— ქალაქის თავი საით იშოვება, იქნებ მიმასწავლო ჩემო კარგო, ძლიერ გვკვირია ყვავის ბუდისათვის.

— მეც ქალაქის თავს ვეძებ, ბატონო ჩემო! ჩვენს ქალაქ ოზურგეთს ჰყავდა მშვენიერი თავი, მაგრამ აგერ ერთი წელიწადია სადღაც გაგვებნა.

— მაშ ერთი გზა გვქონია, კეთილი იყოს შენი გაცნობა.

— აგრეთვე შენი! მიუგო ოზურგეთელმა.

ოზურგეთელი და ყვავის ბუდელი გზას გაუდგენ. ბევრი იარეს, თუ ცოცხა იარეს, შემოეყარათ წინ ახალი მგზავრი.

— გამარჯობა შენი ამხანაგო.

— გაგიმარჯოს.

— ქალაქის თავი ხომ არ გეგულება ყვავის ბუდისათვის?

შეეკითხა ყვავის ბუდელი.

— არა მეგობარო, ჩვენმა ქალაქმა, ლანჩხუთმაც ძლივ ძლიობით იშოვა ერთი თავი, მაგრამ აგერ წელიწადზე მეტია აღარ გვინახავს. გამაგზავნეს საძებრად.

— ერთი გზა გვქონია, კეთილი იყოს თქვენი გაცნობა.

ყვავისბუდელი, ოზურგეთელი და ლანჩხუთელი მეგობრული მუსაიფით გზას გაუდგენ. ბევრი იარეს, თუ ცოცხა იარეს მიადგენ ერთ ტბას. ტბის პირად ვიღაც კაცი ფარნით დადიოდა, ბუჩქის ძირებს სინჯავდა:

— გამარჯობა შენი მოქალაქე.

— გაგიმარჯოს!

— ამ თქვენს კუთხეში ერთი ქალაქის თავი ხომ არ გეგულებათ ჩვენი სოფლის ყვავისბუდისათვის?

— აბა რასა ბრძანებ შენი კირიმე. ჩვენი ქალაქი ფოთი თითონ უთავოდ არის აგერ რამდენი ხანია. მშვენიერი თავი გყავდა, მაგრამ სადღაც დაგვეკარგა.

— მაშ შენც ჩვენი მგზავრი ყოფილხარ, კეთილი იყოს შენი გაცნობა.

ყვავისბუდელი, ოზურგეთელი, ლანჩხუთელი და ფოთელი მხიარული მასლაათით გზას გაუდგენ.

ბევრი იარეს, თუ ცოცხა იარეს, წინ ჩოხიანი მოხუცი შემოეყარათ.

— გამარჯობა შენი მოხუცო!

— გაგიმარჯოს ახალგაზრდებო!

— საიდან მოდიხარ მეგობარო.

— ზუგდიდიდან თქვენი კირიმე.

— სამეგრელოში იქნებ ერთი ქალაქის თავი გყავთ ზედმეტი, ყვავისბუდისათვის გვკვირია.

— დავეცინით თუ რას ინებებთ, ბატონო ჩემო! მე თითონ ორი ქალაქის დავალემა მაქვს ზუგდიდისა და სენაკის, სადღე იმათი თავები ვიპოვო და ჩამოუყვანო.

— მაშ ერთი გზა გვქონია, კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა.

ყვავისბუდელი, ოზურგეთელი, ლანჩხუთელი, ფოთელი, ზუგდიდელი და სენაკელი ნელის ნაბიჯით გზას გაუდგენ.

ბევრი იარეს, თუ ცოცხა იარეს წინ ორი ქაბუკი შემოეყარათ.

— საით გიჭირავთ გზა მეგობრებო? შეეკითხა ზუგდიდელი.

— თითონაც კარგათ არ ვიცით, მძიმე დავალება ვიკისრეთ. მე მონდობილი მაქვს აღმოვაჩინო ხონის ქალაქის თავი, რომელიც თითქმის ექვსი თვეა დაკარგულია, ხოლო ეს ყმაწვილი სამტრედიის ქალაქის თავს დაეძებს.

— თქვენც ჩვენს ღელეში ჰყოფილხართ, შენიშნა ლანჩხუთელმა. — ჩვენც ჩვენ ჩვენ ქალაქის თავებს ვეძებთ, ხალხმა დაგვავალა.

ყვავისბუდელი, ოზურგეთელი, ლანჩხუთელი, ფოთელი, ზუგდიდელი, სენაკელი, სამტრედიელი და ხონელი ნელის ღრინით გზას გაუდგენ.

გეგუთის მინდორზე მათ უცხო მგზავრი შემოეყარათ.

— გამარჯობა მამულიშვილო?

— გაგიმარჯოს.

— საიდან მობრძანდებით?

— ქუთაისიდან.

— კეთილი იყოს შენი შეხვედრა. ქუთაისი დიდი ქალაქია, იქნებ გეგულებათ ერთი თავი ახლად გაქალაქებულ ყვავისბუდისათვის?

მუდარით შიმართა ყვავისბუდელომა.

— სხვისი ჭირიო, ლობეს ჩხირიო! ალბათ თქვენ მხიარულ გუნებაზედა ხართ მეგობრებო, მე კი ქანცი გამომელია. მეშვიდე თვეა დავეძებ ჩვენი დედა ქალაქის თავს. იმერეთის თითქმის ყველა ქალაქები მოვიარე, მაგრამ ვერსად ვიპოვე. ახლა აღმოსავლეთით მინდა წავიდე. სად იშოვნი ჩემო კარგო ქალაქის თავს ძლიერ ცუდ დროს გამოგიწყვიათ გაქალაქების საქმე.

— ვისაც შევხვდით გაუმარჯოს, გაუმარჯოს, გაუმარჯოს დასძახეს ერთხმად მეგობრებმა და ქუთაისელთან ერთად გზას გაუდგენ.

სულ მალე მათ შემოუერთდა რაჭველი გლეხი, რომელიც გაბნეულ ონის ქალაქის თავს ეძებდა; მერმე, მათ მიემატა ზესტაფონელი ვაჭარი და ჭიათურელი შავი ქვის მწარმოებელი, რომელიც სათანადო თავებს ეძებდენ. უკანასკნელ ქალაქს, (ჭიათურას) ერთი თავი სრულიად დაჰკარგოდა უგზო უკვლოდ, ხოლო მეორე აგერ მესამე თვეა არსად სჩანდა და ქალაქი საგონებელში იყო ჩავარდნილი.

როდესაც მეგობრები ქ. გორში ჩამოვიდნენ, მათი ყურადღება გორის ნანგრევებმა მიიპყრო. ოთხი კაცი თავგამოდებით სთხრიდა ნანგრევებს და რაღაცას გაფაცვიცვებით ეძებდა.

— გამარჯვება თქვენი ამხანაგებო? მიმართა ოზურგეთელმა.

- გაგიმარჯოს შენი ჭირიმე.

— რას ეძებთ ამხანაგებო მაგ ნანგრევებში?

— თავებს შენი კვნესამე. მე სურამის თავს ვეძებ, აი ის ბიჭი ხაშურისას, ეს ვაჟი დუშეთისას და აი ის მოხუცი ვგონებ თითონ გორისას. რამდენი ნანგრევი გადავთხარეთ და არაფერი გამოვიდა.

— თქვენც ჩვენს დღეში ყოფილხართ, ამხანაგებო, წამოდით საცა ჩვენ ვივლით თქვენც იქ იარეთ, თუ ვიპოვეთ სადმე ხომ კარგი, თუ არა და ჯანაბას მათი თავი.

ყვავისბუდელი, ოზურგეთელი, ლანჩხუთელი, ფოთელი, ზუგდიდელი, სენაკელი, ხონელი, სამტრედიელი, ონელი ქუთაისელი, ზესტაფონელი, ჭიათურელი, გორელი სურამელი და ხაშურელი უკვე მწყობრათ დარაზმული მცხეთისაკენ დაეშვენ.

ავჭალაში მათ ოთხი კაცი კიდევ შემოემატა. ესენი იყვნენ: თიანელი, დუშელი თელაველი და სიღნაღელი, რომელთაც მოველოთ შიგნითა, და გარე კახეთი თავისი თავები კი ვერსად ეპოვნათ. მაშინ შეხვედრამ დიდი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია.

— გაუმარჯოს გაერთიანებულ საქართველოს! დასძახა ქუთაისელმა და საერთო ვაშამ შეანძროა ავჭალის მიდამო.

თავის მაძიებელთა რაზმი უკვე საგრძნობ ძალას წარმოადგენდა. ისინი დაეწყვენ მწკრივებათ და თფილისისაკენ გამოემართნ.

ავჭალის მახლობლათ, მტკვრის პირად თურმე ეშმაკი თევზაობდა. თავის მაძიებელთა რაზმი გარს შემოერთყა და დაატყვევა იგი.

— რას მერჩით, რა დამიშავებია! გამიშვით... შევედრა მათ ეშმაკი.

— შენ ალბათ გადაცემული ოზურგეთის თავი ხარ!

— არა ლანჩხუთის!

— არა, ფოთის!

— ზუგდიდის!

— ქუთაისის!

— სიღნაღის!

— გორის!

— არა ბატონებო, არას დროს! დმერთმა და-მიფაროს! მე ეშმაკი ვარ, ეშმაკი!

— აჰა, კიდევ უკეთესი! ალბათ შენ გეცოდინება სად იმალებიან ქალაქის თავები.

— არ... კი...

— სთქვი გამოტყდი!

— ვიტყვი თუ არ გამამხელთ! თუ შემიტყვეს მოკლავენ. ნუ ჩადგებით ჩემი ცოლშვილის ცოდვაში.

— სთქვი მეგობარო, ვერავინ გაიგებს!

— მაშ კარგი. ყური დამიგდეთ.

ყველანი სმენათ გადაიტყენ, ხოლო ეშმაკმა დაიწყა:

— მთელი საქართველოს ქალაქის თავები, მეგობრებო, წელიწად ნახევარზე მეტია თფილისში არიან გამაგრებული. დღითი რესტორანებში დადიან და იქ თათბირებენ, ღამით კი არ ვიცო სად იკრიბებიან. მათი იქიდან გამორეკა მეტის-მეტათ ძნელი და სახიფათო საქმეა. აჩქარება არ ვარგა. გამაგრებული არიან ქალაქთა კავშირში. ჩემის აზრით თქვენ უნდა შემოერთყათ ქალაქს ყოველი მხრიდან, მოულოდნელათ შეიჭრათ შიგ და შეიპყროთ დეზერტირი თავები. სხვაფრივ საქმე გაგიჭიანურდებათ.

ეშმაკი გაჩუმდა და ჯარშიაც მდუმარება ჩამოვარდა. ისე ადვილი არ გამოდგა საქმე, როგორც ეს პროვინციელებს ეგონათ. ამას ზედ დაერთო მეორე არა სასიამოვნო ამბავი.

მეტევემ, რომელიც ეს ეს არის თფილისიდან ავჭალაში ტივით ჩამოვიდა, შემდეგი ცნობა მოიტანა:

— გუშინ მთელი თფილისი ფეხზე იდგა. კონტრ რაზმედას გაეგო, რომ თფილისის ირგვლივ რაღაც სანქვო მოძრაობა ხდებდა. შეიარაღებული რაზმები გარს ერტყმიან ქალაქს და თავდასხმას აპირებენო. ვალიკო ჯუღელმა უკვე მოახდინა გვარდიის რეზერვის მობილიზაცია. ჯარიც ფეხზე დგას, მოქალაქენიც. ადგილობრივ მომწყვედელთა ქალაქის თავებმა ცალკე პოლკი შეადგინეს და საბრძოლოდ დაემზადებინ!

ამ ცნობამ დიდი სენსაცია მოახდინა თითქმის
პანიკაც გამოიწვია, მაგრამ სიტყვა ეშმაკმა ითხო-
ვა და სთქვა:

— ამხანაგებო! გულგასატენი აქ არაფერია.
ვალიკო ჯუღელს მე კარგათ ვიცნობ. უბრალოთ
სისხლის დაღერა იმას არ უყვარს. ის ეცდება საქმე
მოლაპარაკებით გადასწყვიტოს, მშვიდობიანათ.
საჭირო იქნება თქვენი მხრით ცოტა კომპრომისი,
დათმობა. ვისი დათმობა შეგიძლიათ.

— მე ვერ დავთმობ ჩვენს თავსო! წარმოსთქვა
ოზურგეთელმა

— ვერც მე!

— ვერც მე!

— ვერც მე!

გაისმა ყოველ მხრივ. ან თავი, ან სიკვდილი!
ხალხი უთავოთ არ მიგვიღებს.

— მაშ ავირჩიოთ დელეგაცია მთავრობის თავ-
მჯდომარესთან—განაგრძო ეშმაკმა— ძლიერ გულ-
შემატკივარი კაცია. მე მგონია შევა თქვენს მდგო-
მარეობაში და თქვენ—თქვენს თავებს დაგიბრუნებს.

— ავირჩიოთ, ავირჩიოთ! გაისმა ირგვლივ.

დაასახელოთ ბატონო კანდიდატი.

— ეშმაკი, ეშმაკი, ეშმაკი.

კენჭის ყრით დელეგაციით ერთხმით არჩეულ
იქმნა ბატონი ეშმაკი, რომელიც საგანგებო რიგით
გამეგზავრა ბორჯომს და იქიდან წავა აბასთუმანს
მთავრობის თავმჯდომარესთან მოსალაპარაკებლათ.

თფილისს კი ჯერაც ალყა არტყია თავის მაძი-
ებელთა არმიისა და ვინ იცის საქმე რით გათავ-
დება. ჩვენ იმედი გვაქვს ჩვენი მთავრობის ბრძნუ-
ლი პოლიტიკა ახლაც გაიმარჯვებს და დეზერტირი
ქალაქის თავები გამეფებულ იქნებიან თფილისიდან.

მორიელი.

გნახე—სოფელი უკუ მავალი.

თავისუფლებას,

ხალხთ ამ უფლებას,

ალარ დაუსვამს შენთვის სხვა კვალი.

მგლოვიარ თალხით,

მწუხარე სახით,

უმზერ მომავალს ამოდ—ლეული,

და უიმედო,

მწირი, უბედო,

გაქვავებულხარ ქანც—მილეული.

სად გყავს ნასწავლნი

ის ქვეყნის თვალნი,..

რომელ ქარს გაპყვენ, ან რომელ ნიავს?

ნუთუ სძინავენ(?)

ტკბილათ ხვრინავენ,

და არ მისდევენ ამ ქვეყნის ტრიალს,

ან „ერთეული“,

ეს ხალხის გული

რა საქმეშია, რა გააკეთა?

ნუთუ ერობა

მტრულათ გეპყრობა

და ახლის ნაცვლათ ძველიც დაკეტა?!

ჰოი, სოფელო,

ტანჯვათ მყოფელო!

აღსდევ, ცხორებამ გაგისწრო წინა!

რადროს ძილია,

გზა გახსნილია

გამაგრდი ისე ვითარცა რკინა.

გამოიღვიძე

წამოდექ ფეხზე.

შენვე გამოსქედ მომავალს შენსა.

თორემ დაგძრახავს

ვინც დაგინახავს,

რომ უსაქმურათ აღამებ დღესა.

გ. ბომბოთელი.

ჩემს მარტვილს.

(ძღვნად დ. ნაოლაღვის ინტელიგენციას).

„ინტელიგენტს იმას ვეძახი
ვინც რო ატარებს კაკარდას.
ხალხისთვის უნდა იღწოდეს
ქუჩაში დადის ფშტვენითა...“

ხ. ზურგიელიძე

ერთი თვის წინად,
მე შენდა ხილვად
ვინი აღმეძრა დაუცხომელი,
და განდიძახე:
მაინც მენახე,
წინ აღმდგომოდა თუნდა ყოველი.
ესთქვი და ასრულდა...
ის რაცა მსურდა...



ძეგლი „ხელთ“ უქმნელი.



და შექმნეს მათ რუსეთსა შინა ძეგლი დიდებული და „ხელთ“ უქმნელი და დასდგეს ძეგლი იგი მთასა ზედა.

პატარა ფელეტონი.

მარსი.

„Спрошенные нами авторитетные учение сообщают, что Марсь никуда не исчез и можно ежедневно видеть его на своем месте.“

(M. Из. 12/VII)

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ისეთი ამბავი არაღის ახსოვს მოსკოვში, როგორც ამა წლის ივნისში იყო.

დიდი ხანია, რაც მოსკოვში „ძალი პატრონს ვერ სცნობდა“, მაგრამ 5 ივნისს პატრონიც ვეღარ სცნობდა ძაღლს.

ჩრეუნიჩაიკები, რევკომები, ისპოლკომები, სანარკომები, ასე წარმოიდგინეთ სოფნარხოზებიც კი გაშმაგებული დარბოდენ ქალაქში. საჩქაროთ დაკე-

ტეს ქალაქიდან გასავალი გზები, გამოიყვანეს ჩინელების და ლატიშების წითელ არმიელები. ერთი სიტყვით საბჭოთა რუსეთის საუკეთესო ძალები იღებდა მონაწილეობას ამ საერთო ძებნაში.

პირდაღებული ობივტელები გაკვირვებით უცქერდენ ოფლში გაწუწულ ბოლშევიკებს.

კონტრევოლიუციონური შეთქმულობა თუ აღმოაჩინეს, ფიქრობდა ობივტელი, მაგრამ სროლა არ ისმის. მენშევიკები ყველა დახვრეტლია. რომელიც გადარჩა ციხეში ზის, ეს-ერები ზოგი ჩამოახჩევს, ზოგიც გაიპარა. მეფის ძველი გენერლები, მართალია, ბლომათაა, მაგრამ ისინი ხომ არ მოახთენდენ კონტრევოლიუციონურ გამოსვლას, ყველანი კომუნისტების სამსახურში არიან.

ასე ფიქრობდა ობივტელი. ბოლშევიკები კი დაუსვენებლივ ეძებდენ, მაგრამ უშედეგოთ.

ბოლოს მოიწვიეს მიტინგი. კამენევა შეადგინა



რეზოლიუციის ტექსტი, ის იყო კრება უნდა გახსნილიყო, როცა ლენინიც მოვიდა.

— ამხანაგებო! მიმართა კრებას ლენინმა, როგორც მოგეხსენება ავერ სამი დღეა რაც მთელი დაწესებულებები ფეხზე სდგას და დაეძებს. ენერგიულ ზომების მიღების მიუხედავად მაინც ვერ ნახეს. ის კი არ დაკარგულა, არსად არ წასულა.

— ყოვლად შეუძლებელია, ამხანაგებო დასძახა პეტერსმა. თუ არ დაკარგულა, არსად არ წასულა რათ ვერ ვნახეთ, მთელ რუსეთში კომისრები დავეზავნეთ. მართალია, დიდია რუსეთი, მაგრამ შორს მაინც ვერ წავიდოდა რკინის გზები ყველგან ავანგრიეთ.

— ამხანაგო ახლავე გაგაგებინებთ რაშია საქმე დაიწყო ისევ ლენინმა. მარსი ამხანაგებო, არც კონტრევოლიუციონერია, არც მენშევიკი და არც ეს-ერი. მარსი მნათობია. ამიტომ იგი მოთავსებულია ცაზე და რა გასაკვირველია თუ მოსკოვში ვერ ვნახეთ. დღეული კედროვის განცხადება სრული პროვოკაციაა. ჩემს შეკითხვაზე ავტორიტეტულმა მეცნიერმა პირებმა გამიცხადეს, რომ მნათობი მარსი თავის პოსტზე სდგასო.

ლენინის მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო კამენევის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია.

„მოსკოვის პროლეტარიატის მრავალ რიცხოვანმა მიტინგმა მოისმინა რა ამხ. ლენინის მოხსენება, რომ მნათობ მარსს არც უფაქრია დეზერტირობა, რომ ის ჩვეულებრივი სიმხნევით განაგძობს თავის სახელოვან პოსტზე დგომას, რომ მარსის დეზერტირობის ამბავი კონტრევოლიუციონერების უკანასკნელი პროვოკაციაა — სცნობს რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა პროლეტარიატის ერთად ერთი მებაირახტრეა და აღუთქვამს მას სრულ დახმარებას. მიტინგი ერთხმად აღგენს გადდებულ იქმნას სამუშაო დღე 2 საათით ამ ისტორიულ დღის აღსანიშნავათ.“

გრ. სლუჩაინი.

სპეკულიანტის გოდება.

სანამ იყო ბათომი საზღვარ-გარედ, სხვისია, შევირგე და შევიტყბე, ვით რძე შევითვისია; შორს არ იყო, სხვა მხარეს, ერთი დღის სავალია, მაგრამ მოსიარულეც იყო იქ მრავალია. დილით რომ წავიდოდი იქ ვიყავ საღამოთი, გზაში არც გაწვალემა არც წუხილი, არც შფოთი; მეორე დღეს უკანვე. არ მეთქმის, მიზეზია. ვიყავ არხენიანა, როგორც წყალში თევზია. მაგრამ რა ვქნა, თუ ძლიერ მიყვარს ალიაქოთი: რაში მინდა, გეთაყვათ, ქუთაისი ან ფოთი?... თუმცა ჩვენი თფილისი მეტად ტკბილი ხილია,

მაგრამ იგი ბათომთან განა გასამხილია? ის მზე იყო მგზნებარე, ძვირფას ქვევით ნაგები. ეს კი მასთან მთვარეა, უფრო ლხინით ნაქები. დღეს კი ჩაქრა იგი მზე, ჩაქრა სამუდამოთა, ისე ვგრძნობ თავს თითქოს ვარუსახლ-კარ-მიდამოთა. სტამბოლისკენ ბათომი მქონდა „კაკრაზ“ გზაშია, ჩემი გულის წუხილი, აი სწორედ რაშია. სტამბოლისკენ — ბათომი; გზის ხარჯი ჯიბეშია. კამათლების ქირიმე, ღუშაშს სდევს ღუბეშია. სტანბოლიდან — ბათომი; ვერ ასცდები გზაზეა. (ვინ წამართვა იგი მე... გულს მედება ბრაზია.) ჯერ მოგება ბათომში, მერე ჩვენს ქალაქებში. (ერთი ათად თუ გინდა ხელს არ მისცემს ნაკლებში) თბილისს განავარდება მერე წესი, რიგია; სიძვირეს რომ იძახით, მივირს, ვერ გამიგია. სადაც წავალ სულყველა სპეკულიანტს მეძახის, ლუკმა პურს რომ ვშონულობ, განა ეს თუ მეძრახის? თუ არა და რას მერჩით, ეს მაქვს საკითხავია, ზრუნვა, ღწვა ხალხისათვის განა საკიცხავია? ყველა მე ჩამემტყრეთ, სად გაქვთ სამართალია; რომ არ შემოილიოს ვის მოაქვს ფართალია? ვის მოაქვს საქონელი აქ სხვადასხვა ფერია, ჩემი შრომა და ღვაწლი ნუთუ არათერია? ბათომის გადმოცემას შეგვხვდი გლოვია-ვიშითა, დავრჩი სახტად და ჩალა გამოვლულ პირშიდა. მოგება შვად გამეყო, რა მაქვს გასახარია? აწი სჯობს სხვა ქვეყნისკენ, რომ ვიცვალო მხარია. ებლა წითელ ბაქოსკენ მიხმობს ჩემი გონება, აი იქ კი მქირია რისკი, გამოგონება; იქ როგორც ხმები დადის, დიდი გასაქირია, მაგრამ ჩემს საქმეებსაც სწორედ აგი სქირია. ყველაფერს მოვახერხებ გამოლმაც და გალმაცა, მაგრამ მაინც ბათომზე გული მწყდება რაღაცა...
სინემატო.

„ტელეფონოგრაფია.“


- ტრინაცატი კამისარიატ დეჟურნი სტარში...
- პრიკაჟიტე...
- მიიღეთ ტელეფონაგრაფია...
- სიჩას, ემააატში...
- ტელეფონაგრაფია № 125.
- ელემფონაგრაფია ნომერი აცოცდახუტი...
- დალშე...
- ყველა თბილისის კამისრებს...
- ყველა ტბილისის კამისრებს... ესტ...
- თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებისა...
- ცანახმატ შინაგან საქმეთა სამინისტროს დავკარგულების. დალშე.
- წინადადებას გაძღვეთ...
- ცინადავდებებს გაედზოლებ... დალშე...

— რომ სასტიკი თვალყური ადევნოთ...
 — რომ სასტიკი ტვალყური ადევნოთ... ესტ...
 — ამ ბრძანების სისულელეში მოყვანას.
 — ამ ბრძანების სისულელეში მოკვანას... დალშე.
 — ამა წლას 20 ივლისიდან აკ...
 — ამაკლის 20 ივლისიდან აკ...
 ესტ...
 — ქალაქიდან პურის ან ფქვილის გატანა,
 — ქალაქიდან ფურის ან კბილის გატანა...
 დალშე...
 — მომარაგების სამინისტროს ნება დაურ...
 თველად...
 — მოპრიგების სამინისტროს ნებადაურკვე...
 ლატ... დალშე...
 — შექქენით ქალაქიდან გასასვლელ გზებზე
 — შექქენით ქალაქიდან გასავალ მზებზე...
 ესტ...
 — დამატებითი სადარაჯო პუნქტები...

— დამატებითი საჩარაჯო „ფრუკტები“. და-
 ლშე...
 — და გააძლიერეთ მილიციელთა რაზმები...
 — და გააძლიერებთ მილიციელთა რაზმები...
 დალშე...
 — ქალაქის მილიციის უფროსი.
 — ქალაქის მილიციის უპროსი... დალშე.
 — გადასცა ნიორადემ...
 — გადასცა ნიორადემ... ესტ...
 — ვინ ძიილო?
 — ვინ მიიგო.. დალშე...
 — ვინ მიილო კაცო?
 — ვინ ჩიიგო კაცო... დალშე
 — კაცო რა გვარი ხარ შეა?
 — კაცო რა გვარი ხარ შენ... ესტ, დალშე...
 — სლუში, კაკ ფამილია? კტო პრინიალ?
 — ააა... ივანოვ პრინიალ...
 რ. ჯიბილ.

მოთმინება კარგი საქონელია.

ეს ამბავი შეემთხვა ჩვენს მხატვარს სანდროს. მაგრამ მართო სანდროს როდი შემთხვევია ასეთი საქმე. ასე ემართება ყველას, ვისაც მწარე ბედი ჩვენს რომელსამე საზოგადო დაწესებულებაში მიიყვანს საქმისთვის.



სანდრომ კარგათ იცოდა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ყველა დაწესებულებაში დილის 8 საათზე იწყებოდა მუშაობა. თუმცა მას ძალიან უყვარს დილის ტკბილი ძილი, მაგრამ რაკი ფრიად საშური საქმე ჰქონდა, 7 საათზე წამოვიდა ლოგინიდან და პირდაუბანელოთ გაიქცა სამინისტროში: პირველი მე მივიტან ამ ჩემს თხოვნას (თხოვნა წინასწარ დამზადილი ჰქონდა), ნახევარ საათში მოვრჩები საქმეს და 9 საათზე უკვე თავისუფალი ვიქნებიო“ ჰფიქრობდა სანდრო. მაგრამ აი ცხრის ნახევარი შესრულდა, 9 საათმაც დაჰკრა, ათის ნახევარზეც მივიდა საათის ისარი და ის მოხელე ქალი, რომელსაც ქალაქი უნდა ჩამოერთმია მისთვის, არსად სჩანდა. როგორც იყო, 10 საათზე მოვიდა იგი, ფიცხლავ სტოლს მიუჯდა, აილო კალამი და სანდროსკენ არც კი გაუხედავს, რისილაც წერას შეუდგა. გაკვირებულმა სანდრომ ძალი უნებურათ შეავლო თვალი ქალის წინ მდებარე ქალაქს და უცაბედათ წაიკითხა: „ძვირფასო კოკი, შენმა წერილმა ნევრები ამიშალა მთელ ლამეს არ დამძინებია, სულ ვტიროდი, ბაღში მთლათ დავასოლე და სხვა და სხვა...“



სანდრომ ველარ მოითმინა და გაუბედავის ხმით მოახსენა:—უკაცრავად, ბატონო, თუ შეიძლება ბოდეს მიიღეთ ეს ჩემი ქალაქი.. ცოტა არ იყოს საჩქარო საქმე მაქვს....!

— უსაქმო არც ჩვენ გახლავართ, უბასუხა ქალმა: ვერა ჰხედავთ რომ ვწერ? დასდეთ თქვენი ქალაქი აქა და მოთმინება იქონიეთ.

სანდრომ ქალაქი სტოლზე დასდო, ქალმა კი პაწაწინა მრგვალი სარკე ამოიღო და კობტათ დავარცხნილი თმის სწორება დაიწყო.


სანდრო მოთმინებით აღიჭურვა და მორჩილათ იცდიდა. საათის ისარი კი არ იცდიდა და უღმობელათ მიდიოდა წინ.




თერაპეუტის ნახევარზე მაწონა მოართვეს მოხელე ქალს. ეტყობოდა კარგათ შედეგებელი უნდა ყოფილიყო, რადგან ქალი მადიანათ შეექცეოდა. სანდროს ქალაქი სტოლზე იცდიდა, თითონ სანდრო სტოლთან, ხოლო საათის ისარი არ ისვენებდა და დაუნდობლათ მიდიოდა წინ.



მაწონს რომ აუგო წესი მოხელე ქალი მეორე ოთახში გავიდა და 11-ს რომ 15 წუთი უკლდა
 რაღაც ქაღალდების შეკვრა გამოიტანა.
 სანდროს ქაღალდი სტოლზე იდო, სანდრო იდგა მოთმინებით აღჭურვილი, საათი კი წინ მიდიოდა.



სრულ თერთმეტზე ქუჩაში მუსიკის ხმა გაისმა: „ჩვენი ჯარი, ჩვენი ჯარი მოდის! წამოიძახა
 მოხელე ქალმა და ამხანაგებთან ერთად ფანჯარაში დაიწყო ცქერა.
 სანდროს ქაღალდი იცდიდა, სანდროც არ იძროდა ადგილიდან, მხოლოდ საათი განაგრძობდა
 წინსვლას.



თორმეტ საათზე მოხელე ქალს სტუმარი მოუვიდა—მეორე მოხელე ქალი. პირველ საათამდე გულდასმით იღვურტულეს. ამ ღღურტულიდან სანდრომ გაიგო, რომ ბეზრუჩკოს მაღაზიაში საუცხოვო ბარკიზეტი და კრებდემინი მოსულა და ბაშარულთან შესანიშნავი ფასონის „კოფტოჩები“ გამოუფენიათ შუშაბანდში.



პირველ საათზე მოხელე ქალმა თავის კერძი პური მიიტანა და სანდროს ქაღალდში შეახვიო.



ორ საათზე მუშაობა გათავდა, მოხელეები თავთავიანთ სახლისკენ გაემართენ. სანდროს ცოტა, არ იყოს, გულ, მოსულობა კი დაეტყო, მაგრამ გაიფიქრა: სულერთია ხვალ ხომ მოვა და ალბათ ჩემს თხოვნის ქალღმერთს მოიტანს სახვალის ბურის გასახვევით. მოაგონდა ქალის სიტყვები: მოითმინება იქონიეთო და იქვე დარჩა მეორე დღემდე.

შექანჯალებულის ლექსები.

1

ვაფა, ჯიმა, ვაფა, ვაფა,
 ჭკუა დღესაც ისევ მქაფა,
 ისევ, ისევ მტკივა ტვინი,
 ხან ვსტირი და ხან ვიცინი...
 გაფაგორით მაშ, სე ვაქე,
 ვინმე კვლავ თუ არ შევაქე,
 ვინმე კვლავ თუ არ შევამკე,
 გადავვუქცეს ცხვირი ვაკეთ...
 ცხვირის კეხი გავვისწორდეს...
 მაშ, ეს ხალხი ვით გასწორდეს,
 ვირი ვირათ თუ არ მორთეს...
 თუ არ ვიცნეთ ვირათ ვირი
 დღეს ძროხებს აქვს უნაგირი
 ბევრ ცხენს დაადგებს კურტანი,
 ვით გასწორდეს ბარი, მთანი,
 ვირი ცხენობს, ცხენი ვირობს,
 და ამას დღეს არეინ კვირობს,
 თვისებაა იგი ვირის:
 ის ხმა მაღლა მუდამ ყვირის:
 უყვარს ზე აწევა ცხვირის,
 რომ დაედოს მგტი ფასი

და რომ გახდეს ის ძვირფასი
 მაგალითი იმის მსგავსი,
 არ ერთი გვაქვს, არ ათასი,
 და არავის გაგიკვირდეს
 ვინმე ჩვენში თუ გავირდეს:
 ყვავმა ვარდი თუ იშოვნოს,
 გული ვით-არ მოიფონოს
 ხმა მაღლა ვით არ იჩხავლოს,
 მაგრამ სტვენა ვერ ისწავლოს,
 ვირი ვირად, ყვავი ყვავად,
 რჩება, ვინ ქმნას თეთრი შავად
 აქ შევდგები... უკაცრავად...
 არ ჩამთვალეთ ფლიდათ, აფად,
 თუ აგეწვას ვინმეს ზურგი...
 მაშ, რატომ ხართ სხვისთვის ურგი...
 მხოლოდ, მხოლოდ თავის მარგი...
 ასე იყოს... ვნახოთ... კარგი...
 ყვილას თუ არ გადაგაცვა
 შესაფერი ტანსაცმელი...
 აბა დელი, დელი, დელი,
 გამოუბტენ აგერ მგლები...
 ჩემი ბრაზით კვდება ღველები...
 საიდუმლო გაუმჟღავნე...
 ვით ავსული, როგორც მანენ
 შევიპარე მათ კრებაზე,

დავესწარი ლაყბობაზე...
 უნდათ მუშტი მთხლიშონ ყბაზე...
 დღეს ვცურავ კუმისის ტბაზე.

II

ავიდეთ კიდევ კოჯორში,
 იქ ბევრს უნდა ვსწვდეთ ქოჩორში,
 იქ „Городская лавка“ ა
 რიგიანობის ლაქაა,—
 სასურსათო მაღაზია,
 რა ჩარჩობის მაღაზია,
 მათი გამგე-პატრონები,
 ამას ჩუმად გეუბნები—
 (ქალაქის კომბინაცია)
 ქალაქის მახინაცია
 ხელს უწყობს ერთი კაცია—
 წიკვა-ლლეტია, ტაცია,
 მობრძანდით თუ კი არ გჯერა,
 ნიხრს სცვლიან დღეში ას ჯერა
 მაგრამ გული ვერ იჯერა,
 ბრმა მაღა ვერ შეაჩერა,
 იმათმა მესვეურებმა,
 — „მაღაზია ქალაქის“,
 შიგ იქ „ის“ ჩარჩობს, და აქ „ის“,
 „მაღაზია ქალაქის“
 შეღავათისა მიმცემი,
 ღარიბთა ნუგეშის მცემი,
 ასჯერ ცვლა დღეში ნიხრისა,
 სთქვით წელში ვის არ მოხრისა,
 აქ სხვაც ბევრია კოჯორში,
 შექმნას უპირებს—ვით მგლები.
 ვისაც უნდა ვწდეთ ქოჩორში,
 საწყალ ხალხს ხაოში ბაყლები,
 ვაჰ, რა გაძვირდა ხილები,
 ვუცქერ და მქაფა კბილები,
 არ გჯერა დაო ფეფია?!
 შაქარი აქ იაფია,
 ვიდრე შეშისა ნახშირი
 ეს რა ხათაა, რა ქირი,
 რას გავს, სთქვი, აბა შენ დარჩო,
 უკვებლოთ როგორ მოვხარშო,
 გინდ რძე, და თუნდაც გინდ ხარჩო
 უმმა ლობიომ დამახრჩო.
 აბა დელია, დელია,
 იფიქრებთ უაქველია
 რომ აქ სჩანს მარჯვე ხელია
 ქალაქის თვითმართველობის
 სულ ყველაფერი ჯრიგზე“ აქვს,
 ნაყოფი მათი ხელობის...

III

სხვა ვინღა დამჩნა, ვფიქრობ და
 არ ვიცი, ვინ ჩამიქრობდა
 მხილებით გულის დარღებსა,

გაშლიდა შეგების ვარღებსა...
 ჰო, მართლა ზოგნი დარაჯნი
 საერთო საქმის მახ ნჯნი,
 საერთო პირის გამტეხნი.
 (მათ დავაყარე ქვა—მეხნი)
 რომ ძკრება, ენა ტანიობს,
 თვის უფროსთ ელაქუცება,
 არ რცხვენის ვატუტუცება,
 (მათ მოუხთება ტკუცება,
 მსხვილი მათრახის ტარისა)
 ვერ ხვდება, თუ ვინ არისა.
 და ვის რად ემსახურება,
 „სპერმაკუდინის“ ჰკურება
 მგონია მათ მოუხდება
 გულიც არ შეუწუხდება,
 და საქმეც არ წაუხდება
 საქმე საერთო, კავშირის—
 —ხაზენები ეამ—ქირის,
 რის გამოც ყველა სულ სტირის,
 კავშირით შენაწუხარი,
 მასზე რისხვისა მქუხარი,
 (სქამონ მათ ალიბუხარი)
 დაცხობთ მათ თავში გირები.
 რომ დროზე ჯამაგირები
 დარაჯებს ჩამოუთვალონ,
 და მუდამ რომ არ აწვალონ.....
 ზომ, ასე არის აპოლონი?!

IV

ვინ დამჩნა, არც კი ვიცი...
 ააა! მჩნება მე მილიცია,
 მისთვის ვადა მე მიმიცია,
 რადგანც კარვად არ ვიცი
 ჯერ მისი ავან-ჩავეანი
 თუ რაა, ან რა მოვანი,
 ვადა აქვს ერთი კვირისა,
 ჯერ ნუ სწუხს, და ნუ სტირისა,
 ვადა აქვს გასწორებისა
 ცოდვების მოშორებისა,
 განა თვითონ არ იცისა
 (ხტომა თვის გვარზე კვიცისა)
 თუ რა ცოდვები აწევსა,
 სინდისის ფარდას ასწევსა,
 ყველაფერს დანახავსა,
 თუ იქ რაცა აქვს კარგს-ავსა...
 ჰო, და, ჯერ არას არ ვამბობ,
 მისთვის არც კარგს და არც ძვირსა,
 უმართლოდ მას ბრალს ვერ დავდებ,
 მით ვერ შევირცხვენ გრძელ ცხვირსა...
 ვნახოთ, ამოვალ კვლავ შაბათს,
 მის საქმეს ავსწონ კიდევ ათს,
 და მაშინ გავხსნი კვანძს და ხლართს
 შექანჯალბული.

ს ი ლ უ ე ტ ი .

ერთხელ ნიკომ უთხრა: შენ, ამხანაგო, თმა გრძელი გქონებია და კეუა მოკლეო. ის იყო და ის. გულში ღრმად ჩაესო ეს შეურაცყოფა და განზრახა გრძელის თმის გაკრეჭვა. თუნდა ებისკოპოსი კი არ იყო არც რუსისა და არ სომხის, მაგრამ გრძელი თმა მაინც უფარდა სიყრმიდან. არც თუ ანარქისტი ყოფილა ოდესმე. თმა გაიკრიჭა და წვერიც შეითხელა. ეგებ კეუას მიემატოსო და ველარაფინ მიკიეინოს კეუის შემოკლებო.

ეხლა კეუას ძალას ატანს, სურვილი აქვს თავის თავის ზევით ახტეს და ცხოვრებასაც თავზედ გადაახტეს. მალაყებსაც გადადის, მაგრამ თავი მაინც ტანზე მალა რჩება და მალაყებსაც ერთსა და იმავე ალაგზე გადადის. არ იქნა, ვერც ზევით ახტა და ვერც ერთს აფილს გაცილდა. ჯიუტობს, მაინც თავისას არ იშლის და გულზე სკდება, რომ ძველი ამხანაგები წინ მიდიან, ხალხის სიყვარულს იძენენ და ქვეყანასაც საიმედოდ უფლიან. იმას რომ თავის ქვეყანა არა სწამს! თუნდა ერთს ლ კი მიმართა დიდ საზოგადოებას, თქვენ, ბატონებო, ყველას საერთოდ და თითოეულს კერძოდ პატივსა გცემთო, მაგრამ ეს ლიტონი სიტყვა იყო. მისი ქვეყანა, სამშობლო, ცალიერი სიტყვაა, უშინაარსო. მის წარმოდგენათა შინაარსი თავმოყვარეობა და პატივ მოყვარეობაა, მინისტრის ადგილი და დიდი სახელი. ფული არ ესაჭიროება რადგან მრავალ ფულის მოსაჭრელ მანქანათა პატრონი უხვად აჯილდოვებს მას „მოღვაწეობისათვის“.

თავისუფლება თრიალ უყვარს. მრავალჯერ ტანჯულიც ყოფილა შისტვის. მაგრამ თავისუფლებაზე მისი წარმოდგენაც ახირებულია. თავისუფლება მასა სწამს თავისაჯის და არა სხვისთვის. მთელი ქვეყანა რო გათავისუფლდა, თავის-ს სურვილისამებრ მოაწყო თავისი ცხოვრება და გაიძახის, ეს არაა თავისუფლებაო, უნდა მე დაიჯეროთ, მარტო თქვენი დამოუკიდებლობა, და ბატონი თავზე შეისკუპოთო. ის მგონი მე გამხდარს თქვენს გაქვლად და მე მოგივლით, გიპატრონებთო. დავიწყებ იქიდან, რომ მოვსპობ უპირველეს ყოვლისა მინშევიკების მეთაურებს, ზედ მივაყოლებ მთელს ინტელიგენციას და ბურჟუებსო. ცხოვრების ჩარხს უკულმა დავატრიანებ და ორი-სამი საკუნით უკუ ვაქცევთ დღეინდელის კულტურიდანო.

სკვითები არასოდეს ჰყვარებია ქართველებს და ეს დიდი ნაილი და დანაშაულია ქართველი ერისაო, ამბობს ჩვენი გმირი. თუ არის, ისევ სკვითი არის, თორემ სხვას რა გაიგებო. ხოლო სკვითი რომ დიდი ბუღილი ხალხია და მათი ცხოვრებაც საუცხოვო, მიბრძნლით ტყუარაქანში და თქვენის თვალით დაუკვირდით იქაურს კეთილდღეობასაო. თვალით

კი დაუკვირდებითო, - მიუგო ერთმა მოკამათემ, - მაგრამ საქმე ისაა, რომ ვიდრე თვალს გავახელო, თავს მომკვეთენ და მერე ვინლა იქნება მშველელი და დამცველიო?

— ესეც მე უნდა ვიღარდოო, - შეეკითხა ჩვენი გმირი მოკამათეს, ამოიღო მარჯვენა ილლია ქვეშ გახუნებული პორტფელი და ღინჯად გაემართა სკვითების მისიისაკენ.

ლიპა ხარაძე.

ოზურგეთში.

დიდი ხნის გარდახვეწების შემდეგ მე კვლავ დაგბრუნდი ჩვენს პაწია, მაგრამ კობტა და ლამაზ ოზურგეთში.

ბევრი რამ გამოცვლილა და გაკეთებულა აქ ამ დროს განმავლობაში.

რკინის გზის მშენებელი სადგური, ტრამვაი, საოპერო თეატრი, სახალხო უნივერსიტეტი, მუშათა კლუბები და სხვა მრავალი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი ამშენებენ გურიის დედა-ქალაქის ზურმუხტოვან ტერიტორიას.

დემოკრატიული ქალაქის თვითმართველობის დაუღალავი შრომითა და აზრიანი მუშაობით ერთობ დაწინაურებულა ჩემი სიყმაწვილის ტკბილი აკვანი *)

დიდი ფრიად დიდი პატივისცემის ღირსია ის ამისათვის და მეც ამიტომ გადავსწყვიტე პირადათ წარესდგომრდი და გულითადი მადლობა შეთქვა მისი წარმომადგენლისათვის.

მაშინვე დავუძახე გტლს და რამოდენიმე წუთის შემდეგ კიდევ მივადექი თვითმართველობის კოპწია შენობას.

გამგეობის კაბინეტში თავაზიანათ მიმილო ერთმა ფრიად სიმპატიორმა ქაბუქმა.

მე მას დაწვრილებით გავაცანი ჩემი თავი.

— სიმონ ცხომელიძე, გამეცნო ისიც და სკამი მომაწოდა.

ჩვენ დაგვექით.

— ბატონო ქალაქის მოურავო, დავიწყე მე წინასწარ გაზეპირებული სიტყვა, მაგრამ მსწრაფლ შეიჩერდი, რადგანაც მოურავის ხსენებაზე სიმონს აშკარა უკმაყოფილება დაეტყო.

— რაშია, ბატონო, საქმე? შევეკითხე მე მას გაკვირებით.

*) არავინ იფიქროს, თითქოს მე უყურადღებოთ ვროვეფ ერობის როლს ოზურგეთის აღორძინების საქმეში. საჯაროთ ვაცხადებ: ერობას ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ დიდი საქმის კეთილათ დაგვირგვინებაში, — და ამ ღვაწლის შესახებ მე დაწვრილებით მოგახსენებ მაშინ, როცა ერობის მოღვაწეობას უფრო ფართო, სამაზრო, მასშტაბით განვიხილავ.

— ქალაქის თავის ჩვენ აღარა გვყავს, ნაღვლი-
ანათ მიზასუხა მან და მწარეთ ამოიკვნესა.

— მაშ თქვენ ვინა ბრძანდებით?

— ჩვენ გამგეობის წევრი ვახლავართ... ფაქ-
ტიურათ ქალაქის თავის მოვალეობასაც ვასრუ-
ლებთ...

— დიდხანია?

— მას შემდეგ, რაც ნამდვილი ქალაქის თავი
უგზო უკვლოთ დაიკარგა.

— როგორ მოხდა ეგ ამბავი? სად და როდის?

— ეგ დიდხანის ამბავია. პირველათ თბილისში
გაიბნა, ხოლო იქიდან სად წავიდა, არავინ უწყის.
ხმები კი ათას-ნაირი დადის მის შესახებ... „ადერ-
ბეჯანთან ომის დროს გვარდიის ნაწილებს სარდ-
ლობდა და ხელ-ჩართულ ბრძოლაში გმირულათ
დაიღუპაო“, — ამბობს ერთი. „რას ამბობს? მე ჩე-
მის თვლით ვნახე, როგორ გაფითრებით უტევდა
ინგლისელებს ბათუმის ალების დროსო!“ — ირწმუ-
ნება შეორე. „ამ უამათ კახეთშია და მოხალისეებს
აგროვებს ქემალ ფაშის წინააღმდეგ გასალაშქრებ-
ლათო,“ — უმატებს მესამე. მაგრამ ჩვენ ერთი ამ
ხმების სიწინააღმდეგო ცნობაც გვაქვს ამ ცნობის
მიხედვით ჩვენ ქალაქის თავი იაპონიაში იმყოფება,
როგორც საქართველოს მთავრობის სრულ-უფლე-
ბიანი წარმომადგენელი.

— თვითპრეტელობას არავითარი ზომები არ
მიუღია ამ საქმის გამოსარკვევათ?

— როგორ არა. ჩვენ უკვე ავირჩიეთ ათი კაცისა-
გან შემდგარი კომისია, რომლის მოვალეობას შეა-
დგენს ამ საქმის ყოველ-მხრივი გამოძიება და ქა-
ლაქის თავის აღმოსაჩენათ ენერგიული ზომების
მიღება. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას, და ჩვენ
ეჭვი არ გვებარება, რომ ის პირნათლათ შეასრუ-
ლებს თავის მოვალეობას.

— სჩანს, — ქალაქის თავს თითქმის არავითარი
მონაწილეობა არ მიუღია იმ აღმშენებლობითი
მუშაობაში, რომელსაც გამგეობა აწარმოებს ქალა-
ქის საკეთილ-დღეოთ.

— როგორც ხედავთ... ეგ მძიმე საქმე სულ
ჩვენ — გამგეობის წევრებს — გვაწევს ტვირთათ.

— მით უფრო მოსაწონი და დასათესებელია
თქვენი მუშაობა... მე პირდაპირ აღტაცებული ვარ,
ბატონო სიმონ, ჩვენი ქალაქის დღევანდელი მდგო-
მარეობით.

სიმონის ახალი აკოკრებული უღვაშები სიამოვ-
ნების ღიმილმა შეათამაშა.

— რა უფრო მოგწონთ თქვენ ჩვენს ნამოქ-
მედარში? ინტერესით შემეკითხა ის.

— რომელი ერთი დაგისახელოთ?!...

• მაინც? !

— ავიღოთ, თუ გინდ, განაპირა უბნების
განათება...

— განაპირა უბნებში მგრომელი ხალხი ცხოვ-

რობს და ამიტომ ჩვენც მეტ ყურადღებას ვაქცევთ
ამ უბნებს.

— საშვილის-შვილო საქმეთ მიმართ აგრეთვე
ქალაქის „ბულვარის ზოოლოგიურ ბაღათ გადაკე-
თება... მერე რა კარგი ჯიშის ლორები მოგიტაფ-
სებიათ შიგ!

— ამ დღეებში ძროხებიც გვეყოლება, დინ-
ჯათ წარმოსთქვა სიმონმა და მის ყუყუნა თვალე-
ბში უანგარო შრომისადმი სიყვარულის უცოდველი
სხივი ათამაშდა.

კიდევ დიდ-ხანს ვაგრძელებდა ჩვენი მეგობრული
საუბარი. მე დაწვრილებით გავცანი ქალაქის
თვით-მართველობის, როგორც წარსულ მოღვაწე-
ობას, ისე მომავალი მუშაობის გეგმას და სრული
კმაყოფილების გრძობით გამოვემშვიდობე პატივ-
ცემულ საზოგადო მოღვაწეს...
D.

ომის სურათები ჭიათურიდან.

ორი მხარე დაირაზმა
ერთმანეთის შესახვედრათ
(მობილიზაციის ძალით
მეც გავედი ბრძოლის ველათ)
მტერი მოსჩანს შორი ახლოს
ორი მხრიდან მომავალი,
შეთანხმებით გამოსულან
მათი მზერით სტკებება თვალი ..
ჩვენც მზათა ვართ შეტევაზე,
საერიშოთ გვიძვრს გული,
ჯერ არ ვიცით ვინ-ვის დასძლევს
ვინ გახდება განგმირული...
რაზმსა მტრისას მთავარსარდლობს
გალაქტიონ კომუნისტი,
მარცხენა ფრთას განაგებს
ალექსანდრე ფოტურისტი!...
ელიზბარი კი ამხნევებს
რეზერვის ჯარს, შავათ ჩაცმულს,
გულში ჩუმათ მეცინება
როცა ვხედავ იმის ფაფხურს...
პირველ ხანად ომის ღმერთმა
ჩვენ მოგვხედა მ-ვალთ წინა,
ჩვენი ჯარი ემზადება
ხელ-ჩართული ბრძოლისთვის...
მაგრამ ამ მტრის ბანაკმა
გამოუშვა სახრჩოლავი
ჩვენი წინსვლა შეაჩერა
(კადეც აგვტკინა თვალი).
პირველ რიგში ტყვეთ წავგართვეს
კოლია და ჩვენი ვსა
სამსონს ხელი მიაჩხეს,
ველარ იქნევს იგი ხმალსა!!!
ჩვენი გრიგორიც გაიკაწრა

გულს მიკლავდა იმის კენესა,
 (ვწუხდი, რადგან შტაბის უფროსს
 ვერ ვიშოვნით უკეთესსა)
 მეტი გზაი აღარ გვქონდა,
 უკან უნდა დაგვეხია,
 სტრატეგიულ მიზნის გამო
 სისხლიც აღარ დაგვენთხია...
 და რევიან შის მოლოდინში
 არ გვეკიდა თვალზე ძილი
 შევიმატეთ გენერლები
 და სტრატეგაც გამოცდილი.)
 ცამეტ ივლის დღე გათენდა
 მშვენიერი, სანეტარო...
 ერთხელ კიდევ ემზადება
 ბრძოლისათვის ეს სამყარო.
 პირველ დაძახებისათვე
 ფეხზე დადგა მთელი ჯარი,
 (ფეიქრობთ მხოლოდ შეტევაზე
 გულში არ გვაქვს სხვაი ჯავრი)
 ასტყდა სროლა, და თოფის ხმის
 ტყვიის მთესმა მისცა ბანი,
 ახმაურდენ ზარბაზნები
 ორმოცდა ათ ვერსიანი! (?)
 ცეცხლი აღში გაეხვია
 ჭათურის არე-მარე,
 ცას ღრუბლები გადაჭკვრია
 (თითქო იყოს მგლოვიარე!)
 შტრის სიმავრემ მიიზიდა
 ჩენი აზრი და გონება,
 (გამარჯვება, ან სიკვდილი
 იყო ჩვენი მოწოდება)...
 მტერი შედრკა, უკან იხევს,
 ჩვენც ფეხდა ფეხ მივზღვეთ რალა,
 ჩვენს მებრძოლ რაზმს წინ მიუძღვის
 იონა და დავით ალა.
 ანთელიძე შტაბს განაგებს,
 ვით მებრძოლი გამოცდილი,
 (ორი დღე და ორი ღამე
 არ მოგვევლია თვალზე ძილი!!!)
 ჩვენი რაზმი წინ მიიწვეს
 მტერმა შეიბრუნა პირი,
 (ალექსანდრე უკან იხევს
 ვით კიროვის ერთი გმირი)
 ის სიმავრე, რომელზედაც
 „კომუნისტში“ ტრამპობდენ
 ისე კობტათ მიატოვეს
 სრულებით არ ყოყმანობდენ,
 დამარცხებით შეეცვალათ
 ნაადრევი გამარჯვება,
 თავს უშველოთ! გალაქტიონს
 ალექსანდრე ეუბნება,
 დიდებულათ დაგვირგვინდა
 ცამეტი ივლისის ომი
 სამარცხვინოთ გაცამტვერდა
 ჩვენი დამარცხების მდომი
 ბათუმის შემოერთებას
 ჭიათურაც მიემატა
 ვალდებულათ თავი ვსცანი
 ეს სურათი დამეხატა.

ლაფონ — ტეფოშვილი.

„შკა-ხელი-ძეგა“.

(არაკი მომარიგების სამინისტროსათვის შეთხუელი).

ქართლოსმა საუცხოვოთ მოაწყო ოჯახი. მეზობლებს შეშურდათ მისი ბედნიერება. ხან ომს უცხადებდენ, ხან ყაჩაღურათ თავს დაესხმოდენ. მაგრამ ქართლოსი მუდამ მზათ იყო მტრის შესახვედრათ. სხვას არაფერს წაართმევდა, მაგრამ არც თავისას გაატანდა ვისმეს. განსაკუთრებით ქართლოსს შვილები ახარებდა: ყველა ერთი მეორეზე უკეთესი იყო, მამის გამგონე, ჭირში და ღებში გამტანი, სტუმართ მოყვარე. ბევრმა მისმა შვილმა ისახელა თავი. მადლობის ნიშნათ ქართლოსმა შესაფერი სახელებიც უწოდა, მაგრამ გაგიგონებათ თითო მახინჯი ყოველ ოჯახშიაო. ქართლოსსაც ყავდა ასეთი შვილები. დაუფასებელი, რასაკვირველია, არც ისინი რჩებოდენ. როგორც კი ქართლოსი გაიგებდა რომელიმე შვილის სასიამო ან სამარცხვნო საქციელს მაშინვე დაიბარებდა და ყველა შვილების თანდასწრებით მოღვაწეობის და მობედვით დააჯილდოებდა.

ერთხელ მტერი მოულოდნელათ მოადგა ქართლოსის სამფლობელს საზოვარს. მაშინ ახლათ გამოყოფილი იყო ქართლოსი მამინაცვალისაგან და ჯერ კარგათ მოწყობილი არ იყო. დაუძახა თავის შვილს ვალიკოს.

— ვალიკო, მტერი მოსრას გვიქადის. წაიყვანე ვინც გინდოდეს და დაგვიცავიო.

ვალიკომ აარჩია საუკეთესო მებრძოლენი და გასწია მტრისაკენ. ჩვეულებისამებრ ბრძოლა ბუბერაშოთა შეჯიბრებით დაიწყო. ვალიკო ჯილა მაგარი ყაწვილი იყო, ვერც ერთმა ბუმბერაზმა ვერ გაუძლო და გამარჯვებული შინ დაბრუნდა. მამამ მოისმინა ვალიკოს მამაცობის, მისი ჯილა მაგრობის აზბავი და სამახსოვრათ ჯილელი, ანუ ჯულელი დაარქვა.

დღეს ყველა იცნობს ვალიკო ჯულელს. ერთი ლამაზი ბახჩა ქონდ ქათლოს თავის სამფლობელოს დასავლეთით. როცა მამინაცვალს ეყრებოდა და ჯერ კიდევ არ გამაგრებულიყო მტერმა წაართვა ეს ბახჩა. ბევრჯერ შეეცდა ქათლოსი ბახჩის დაბრუნებას, მაგრამ უსისხლოთ ვერ მოახერხა და სისხლის დაღვრა კი არუნდოდა, უბახჩოთ კი ძნელი იყო ქართლოსის ოჯახის კეთილ დღეობის მოწყობა, რადგან უმთავრესი სავაჭრო გზა იმ ბახჩასთან გადიოდა.

ამას ერთი უბედურება დაერთო: ერთ წელს მოსავალი ცოტა მოვიდა და საჭირო შეიქნა პური და სხვა საჭირო ნივთები მეზობლებისაგან იყიდა. ქართლოსმა გაგზავნა ერთი შვილთაგანი ბახჩაში, რომ დიდ სავაჭრო გზაზე გამვლელ ვაჭრებისაგან საჭირო საგნები ეყიდა.



—ა— შეიღო რწმუნების ქალღი—უთხრა მამამ. აბა შენ იცი რას მომიმარაგებო.

შვილმა აიღო რწმუნების ქალღი და წავიდა მოსამარაგებლათ.

—რა დავარქვათ, მამა ჩვენ რწმუნებულს? კითხეს შვილებმა ქართლოს.

როცა დაბრუნდება მაშინ დავარქმევთ სახელსო, უთხრა მამამ.

შვილებმა კი ჩუმად ხუმრობით „მომარაგების რწმუნებული“ დაარქვეს.

გავიდა დრო ქართლოს მოდიოდა საჭირო ნივთები, მაგრამ თან არა სასიამოვნო ცნობებიც მოდიოდა.

რწმუნებულმა იფიქრა: მამა შორს არის. აქაური ამბები არ იცის. მოდი იაფათ ვიყადი და ძვირათ ვუჩვენებ. გამყიდველი სიამოვნებით მამკემს ყალბ ანგარიწს. მოგება მე დამრჩება და მალე ისეთი დამოუკიდებელი გავხდები, როგორც მამაჩემია. ასეც მოიქცა.

სიმინდი ბაზარზე 580—600 მან. ღირდა. მან კი იყიდა 650 მან. ფუთი. ე. ი ფუთზე 50—70 მან. გადამალა.

14000 ფ. ქერი იყიდა და ნებართვაც აიღო შინ წასაღებათ 1000 ფ. ვიღაც ვაჭარს დაუთმო ნებართვი. თუქცა იცოდა, რომ ვაჭარი მამამისთან მიიტანდა ამ ქერს და ძვირათ მიყიდდა.

ვალეკოს რაზმისთვის ტანისამოსი იყოსაჭირო. ერთი ვაჭარი ტანისამოს 2400 მან. ყიდა, ცენტრო-ჩხ-ტა ყიდულობდა მან 2250 მან. მისცა.

მამას მოუვიდა ამბავი შენი რწმუნებული გატყვილებს, ყალბ ანგარიშებს გიღგენს და ზედმეტ ფულს თვითონ იღებს ჯიბაში. ქართლოსმა საჩქაროთ გამოიწვია თავის რწმუნებული და შვილებთან თანდასრებით უთხრა:

— მე შენ გავიშვი ოჯახის საჭიროებისათვის შენ შენ თავზე ზრუნავდი, მატყვილებდი განა შენი არაა, თუ მამა შენს რამე აქვს? არა ხარ ღირსი ჩემი შეიღობსა. იყავ დაწყევლილი შენ ჩემო ძევ, რადვან შენ შაკ ხელი ძევ ჩემს სიმდიდრეს და მიითვისე, შკა-ხელ-ძევ!

და დაეოქვა შკა-ხელი-ძევ. გრ. ხლუჩაინი.

ბ ა თ უ მ შ ი.



სავანებო კომისარი ბ-ნი ჩხიკვიშვილი დასცქერის [ქ. ბათუმს ფაჩულიას თვლით და იტყვის: „კათაქმეველნი განვედით“ ხოლო კათაქმეველნი განვიდნან.....